



აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი

საინჟინრო ტექნიკური ფაკულტეტი

მშენებლობის დეპარტამენტი

სამაგისტრო პროგრამა:
მ შ ე ნ ე ბ ლ ო ბ ა

სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამული მიმართულება:
საინჟინრო

მისანიჭებელი აკადემიური ხარისხი:
მშენებლობის მაგისტრი

პროგრამის მოცულობა:
120 ECTS კრედიტი (4 სემესტრი)

პროგრამის ხელმძღვანელი: ასოცირებული პროფესორი ვახტანგ კანკავა

საკონტაქტო ინფორმაცია: *899 185107*

ქუთაისი
2008

პროგრამის მიზანი და ამოცანები:

მომზადდეს სპეციალისტი, რომელიც შეძლებს სამშენებლო ამოცანების გადაწყვეტას მშენებლობაში ახალი ტექნოლოგიების დანერგვით, შესაბამისად მაღალი ტექნიკური და ეკონომიური მაჩვენებლების მქონე სამშენებლო მასალების გამოყენებით. მის მიერ გათვალისწინებული იქნება მოთხოვნები, რომლებიც წაყენება შენობებს, როგორც ტექნიკური, ეკონომიური და ესთეტიკური თვალსაზრისით, რაც მოითხოვს არსებული სამშენებლო ინდუსტრიის საწარმოების გადაიარაღება-რეკონსტრუქციას, ასევე ახალი მოქნილი თვისებების მქონე ადგილობრივი სამშენებლო მასალების მოპოვება-შესწავლას და წარმოებაში დანერგვას, რომელიც გაზრდის საერთო მშენებლობის საიმედობას, ხანგამძლეობას და სეისმომედეგობას

მოსალოდნელი შედეგები:

სტუდენტებს მომავალ მაგისტრ-მშენებლებს მიეცემათ ცოდნა იმისათვის რომ, უნარიანად გამოიყენონ ორგანიზაციულ ტექნოლოგიური ცოდნა პრაქტიკაში, პირველ რიგში სამშენებლო კონსტრუქციებისა და სამშენებლო პროცესების პროექტირებისას; მეორე – საწარმოს დაგეგმვისას – საწარმოო პროცესის უშუალოდ განხორციელების ორგანიზაცია; მესამე – სამშენებლო წარმოების გამოკვლევების ჩატარება, ე.ი. მოღვაწეობა ძირითად სფეროში, რომელსაც ითვალისწინებს, "სამრეწველო და სამოქალაქო მშენებლობის" სპეციალობის მაგისტრ მშენებლის კვალიფიკაცია.

პროგრამის სტრუქტურა

N	დისციპლინის დასახელება	გამოცდა	სააუდიტორიო მუშაობა								საათების განაწილება კურსებისა და სემესტრების მიხედვით								
			ს უ ლ	ლექცია	პრაქტიკული	ლაბორატორიული	კრედიტების რაოდენობა					I კურსი		II კურსი					
							I სემ.	II სემ.3	III სემ	IV სემ.	სულ	I	II	III	IV				
												სემ	სემ	სემ	სემ				
1.	მოდული 1.																		
2.	.სამშენებლო მასალების ტექნოლოგია		126	42	30	54				15	15	30				12	9		
3.	მოდული 2.																		
4.	საგზაო და სამშენებლო მანქანები და მოწყობილობები		126	42	30	54				15	15	30			12	9			
5.	ყველა მოდულისათვის სავალდებულო საგნები		243	90	117	36						60							
6.	უცხო ენა		81		81		5	5				10	3	3					
7.	ავტომატიზირ. დაგეგმარების სისტემები		18	12	6		2.5					2.5	1.5						
8.	მსოფლიოს საინფორმაციო რესურსები		36			36	5					5	3						
9.	პედაგოგიკა და ფსიქოლოგია		18	18			2.5					2.5	1.5						
10.	ექსპერიმენტის დაგეგმვა და ანალიზი		45	30	15			5				5		3					
11.	მათ. მოდელირება საინჟინრო საქმეში		45	30	15			5				5		3					
12.	სამეცნიერო-კვლევითი მუშაობა						5	5	5	5	20								
13.	სამეცნიერო-პედაგოგიური პრაქტიკა								5		5								
14.	სამეცნიერო-კვლევ. (პროფეს) პრაქტიკა									5	5								
	სულ თითოეული მოდულისათვის:		726	228	308	196	30	30	30	30	120	15	15	12	9				

სასწავლო პრაქტიკა და სამეცნიერო-კვლევითი მუშაობა:

პრაქტიკის დასახელება	სემესტრი	კვირათა რაოდენობა	კრედიტი	შენიშვნა
სამეცნიერო-პედაგოგიური პრაქტიკა	3		5	
სამეცნიერო-კვლევითი (პროფესიული) პრაქტიკა	4		5	
სამეცნიერო-კვლევითი მუშაობა	1,2,3,4		20	

სტუდენტთა შეფასების სისტემა

სტუდენტთა მიღწევების შეფასება ხდება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის №3 და 2009 წლის 21 სექტემბრის №785 ბრძანებებით განსაზღვრული შემდეგი პუნქტების გათვალისწინებით:

1. კრედიტის მიღება შესაძლებელია მხოლოდ სტუდენტის მიერ სილაბუსით დაგეგმილი სწავლის შედეგების მიღწევის შემდეგ, რაც გამოიხატება მე-6 პუნქტის “ა” ქვეპუნქტით გათვალისწინებული ერთ-ერთი დადებითი შეფასებით.

2. დაუშვებელია სტუდენტის მიერ მიღწეული სწავლის შედეგების ერთჯერადად, მხოლოდ დასკვნითი გამოცდის საფუძველზე შეფასება. სტუდენტის გაწეული შრომის შეფასება გარკვეული შეფარდებით უნდა ითვალისწინებდეს:

ა) შუალედურ შეფასებას;

ბ) დასკვნითი გამოცდის შეფასებას.

3. სასწავლო კურსის მაქსიმალური შეფასება 100 ქულის ტოლია.

4. დასკვნითი გამოცდა არ უნდა შეფასდეს 40 ქულაზე მეტით.

5. დასკვნით გამოცდაზე გასვლის უფლება ეძლევა სტუდენტს, რომელსაც შუალედური შეფასებისა და დასკვნითი გამოცდის მაქსიმალური ქულის გათვალისწინებით უგროვდება 51 ქულა.

6. შეფასების სისტემით დასაშვებია:

ა) ხუთი სახის დადებითი შეფასება:

ა.ა) (A) ფრიადი - მაქსიმალური შეფასების 91% და მეტი;

ა.ბ) (B) ძალიან კარგი - მაქსიმალური შეფასების 81-90%;

ა.გ) (C) კარგი - მაქსიმალური შეფასების 71-80%;

ა.დ) (D) დამაკმაყოფილებელი - მაქსიმალური შეფასების 61-70%;

ა. ე) (E) საკმარისი - მაქსიმალური შეფასების 51-60%;

ბ) ორი სახის უარყოფითი შეფასება:

ბ.ა) (FX) ვერჩააბარა - მაქსიმალური შეფასების 41-50%, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება.

ბ.ბ) (F) ჩაიჭრა - მაქსიმალური შეფასების 40% და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.

7. მე-6 პუნქტით გათავისწინებული შეფასებების მიღება ხდება შუალედური შეფასებებისა და დასკვნითი გამოცდის შეფასების დაჯამების საფუძველზე.

8. სტუდენტს დამატებით გამოცდაზე გასვლის უფლება აქვს იმავე სემესტრში. დასკვნით და შესაბამის დამატებით გამოცდას შორის შუალედი უნდა იყოს არანაკლებ 10 დღისა.

სასწავლო კურსში სტუდენტის მიღწევების შეფასების დამატებითი კრიტერიუმები განისაზღვრება შესაბამისი სილაბუსით.